სახალხო გაზეთი

№ 663 სამშაბათი, 31 ივლისი, 1912 წ. № 663

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ „საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრის და საზოგადო მოღვაწის,

პროფ. ალექსანდრე ს. ხახანაშვილის

გვამი სამარიდან ტფილისში წამოასვენეს 28 მკათათვეს. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე ქვაშვეთის ტაძარში, საღამოს 7½ საათზე. დაკრძალვის დღე დ ადგილი გამოცხადებული იქნება ცალკე.

(2.1404.1)

საზაფხულო **ახალი კლუბი** შენობა.

დღეს, სამშაბათს, 31 ივლისს,

სიმფონიური საღამო

გამოჩენილ სკრიპაჩის თავისუფალ მხატვრის **იაკობ ფიშბერგის** მონაწილეობით და სიმფონიური ორკესტრი 40 არტისტთაგან, **ს. ი. პრესმანის** ლოტბარობით. სტუმრ. კლუბში შესასვ. იხდიან: კაცი 50 კ., ქალ, სტუდ. და საშ. სასწ. მოწაფენი 25 კ. თეატრის ბილეთები 30 კ. **დასაწყ. საღამ 9 ს.**

ანონსი: 1 აგვისტოს, ჩვეულებრივად სინემატოგრაფი. (1.1392.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	**ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ავად.	**ბედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მჭარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.82)

გიმნაზიების დამაარსებელი მზრუნველი საზოგადოება ს. ხაშურში

(გორის მაზრა, ტფილისის გუბერნია).

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ მიმდინარე წელს II ხარისხის სასწავლებელი, რომელსაც ინახავდა საზრუნველო,

სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ გადაკეთდა მოწაფეთათვის უფლებიან 6 კლასიან პროგიმნაზიად.

თხოვნები მიიღება პირველსა და მეორე მოსამზადებელ, და ხუთი ძირითად კლასებისათვის პროგიმნაზიის კანცელარიაში, ხაშურში, არუწოვის სახლებში. დაწვრილებით ცნობებისა დ თხოვნებისათვის დამზადებულ ფურცლების უფასო მიღება შეიძლება: პროგიმნაზიის კანცელარიაში, მიხაილოვის რკ. გზის სადგურის უფროსთან, ექიმ. კ. ა. პლავტოვთან, და ვ. რ. ჩიქოვანთან, ხოლო ბორჯომში პ. ფ. მალეშევთან.

სწავლის ფასი მოსამზადებელ კლასებში 60 მან., ძირითად კლასებში კი 80 მ.

მისაღები გამოცდა დაიწყება 15 აგვისტოს, სწავლა 1 ენკენისთვიდან.

სასწავლებელში მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ იმ ყმაწვილებს, რომლების მშობლებიც საზოგადოების წევრებად ითვლებიან და იმ რკინ. გზის მოსამსახურეებისა, რომელნიც თავიანთ ჯამაგირიდან ერთ პროცენტს იხდიან სასწავლებლის სასარგებლოდ.

კომიტეტი. (2.573.2)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება წიგნები:

ქართული ღრამატიკა შედგ. ანტონ I მიერ ფ. 1 მ. 50 კ.
„ „ თ. ჟორდანიასი . „ 55 „
„ „ დ. ჩუბინაშვილისა „ 25 „
„ „ ქუთათელაძისა . . „ 40 „
„ „ მ. ჯანაშვილისა . „ 50 „
„ „ დ. ყიფიანისა. 1 მ. 20 „
„ „ ს. ხუნდაძისა ყდ. „ 60 „
სალიტერატურო ქართული, ს. ხუნდაძისა . . . . „ 1 მ.
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონის დ ყიფშიძისა 1 მ. 20 კ.
ქართული სიტყვიერ. ისტ., ა. ხახანაშვილისა . . 1 მ. 25 კ.
თეორია სიტყვიერებისა, მღ. მ. კელენჯერიძისა . . „ 40 კ.
ქართული ქრისტომატია ანუ კრებული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა, მღ. მ. კელენჯერიძისა . ფ. 85 კ.
მოკლე ფორმალური ლოღიკა, იოსელიანისა . . . „ 15 კ.
ქართ. ზმნის კლასიფიკაცია, ქუთათელაძისა . . . . „ 50 კ.
ბუნება ქართ. ენის ეტიმოლოგიურ შენობისა, წერილი I, მ. ყიფიანისა . . „ 30 კ.
მისივე, ქარ. ზმნის ძირითად. „ 10 კ.
ქართული ლექსიკონი, საბა სულხან-ორბელიანისა . . „ 3 მ.
Опытъ груз. русск. словаря, Багаева . . . . . „ 50 к.
Русск. груз. словарь, Д. Чубинова . . . . . 2 м. 40 к.
Къ Иверiйской фонетикѣ, Додаева . . . . . . „ 40 к.
Допол. свѣдѣнiя о Чанск. яз. Кипшидзе . . . . . „ 45 к.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.87).

განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობისა,

სასანიტარო ნაწილის სავალდებულო დადგენილებათა მე-3 მუხლში, რომელიც ტფილისის გუბერნატორმა გაზ. „კავკაზში“ 1909 წ. 25 აპრილს დაიბეჭდა, ნათქვამია: „ამა წესების გამოქვეყნებიდან ორი წლის განმავლობაში, ყველა სახლებში ეზოები უნდა მოჰფინონ ქვით, ცემენტით ან ასფალტით, იმ ადგილების გარდა, რომელიც ბაღისა ან ყვავილების გასაშენებლად აქვთ და აგრედვე ცარიელი ადგილებისა. ასეთი ცარიელი ადგილები უნდა შემოღობონ ან ფიცრულით ან ქვითკირის გალავნით და მუდამ სუფთად იქონიონ.

რადგანაც ზემო აღნიშნული ვადა უკვე გავიდა, ქალაქის გამგეობა სთხოვს, სახლის პატრონებს, ვისაც ზემოხსენებული მუხლის მოთხოვნილება არ შეუსრულებიათ, გაისარჯნენ, და **1 აგვისტოდან დაწყებული ერთი თვის განმავლობაში შეასრულონ ეს მოთხოვნილებანი;** ამასთანავე ვაფრთხილებთ, რომ ვინც ამ მოთხოვნილების ასრულებას მოერიდება, პასუხისგებაში მიიცემიან. (3.1410.1)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 35)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 182. (თ. 1037 240)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით.

(წლ—1018—44).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—73)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს, საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ. სვანიშვილისა.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

~~**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი~~ ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. ვ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 15)

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. (0—550—16)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.166)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—134)

ექიმი აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (წ. 1347.216)

ექიმი კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ-მარქაროვისა. (0—1334—32)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

ახალი ამბავი

ტფილისი

პარაკლისი. გუშინ, მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადების დღეს, ტფილისის ეკლესიებში სამადლობელი პარაკლისები გადაიხადეს.

ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა. ქალაქის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის განხილვას ქალაქის გამგეობა ერთ კვირაში დაასრულებს. ამის შემდეგ პროექტს ცალკე დაბეჭდვინებს და საბოლოოდ განსახილველად ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიას გადასცემს.

ძველი ტაძრის განახლება. განზრახულია, განაახლონ ძველი ქართული ტაძარი, რომელიც სადგურ მცხეთის პირდაპირ, წმ. ოლღას ნიშის მახლობლად მდებარეობს. საქართველოს ეგზარხოსის მოადგილემ ნება დართო, ფული შეაგროვონ ტაძრის განსაახლებლად საჭირო ხარჯის დასაფარავად.

ფილოქსერასთან ბრძოლა. უკვე შესდგა ფილოქსერასთან მებრძოლი ორი დასი. პირველ დასს ხელმძღვანელობას გაუწევს ინსტრუქტორი ი. იოსელიანი, ხოლო მეორეს—ინსტრუქტორი ბ-ნი მაქარაშვილი. ორივე დასი კახეთს 1, ან 2 აგვისტოს გაემგზავრება.

საქართველოს ეგზარხოსს ინოკენტის ტფილისში მოელიან აგვისტოს პირველ რიცხვებში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი გენ.-მ. ბარონი ფორ-დერროპი, რომელიც ბათომს იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

ქალაქის სასაკლაოს ახალ შენობის აგება მომავალ წლის პირველ იანვრამდე დასრულდება. სასაკლაოს მოქმედებას პირველ აპრილიდან დაიწყებს.

ქუთაისი.

სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში 1883 წლიდან არსებობს **ორი სტიპენდია** თითო სამას მანეთიანი. ერთი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა და მეორე ნ. ღოღობერიძის სახელობაზე, რომელთაგანაც იყო დამოკიდებული ამ სტიპენდიის დანიშვნა. დიდი მთავრის სახელის სტიპენდია, რომელიც ერთი წელიწადია, რაც გათავისუფლდა, ზოგიერთ მოსწავლე ახალგაზრდებს უთხოვნიათ დიდი მთავრის სასახლის კანტორისათვის. სასახლის კანტორას ბანკის გამგეობისათვის უცნობებია, რადგან მისი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე უკვე გადაცვლილია, მის სახელობაზე არსებული სტიპენდიის დანიშვნა თითონ ბანკმა იკისროსო.

მასწ. ანტონ ოდიშარიას თაოსნობით აგვისტოს პირველ რიცხვებში იწყობა მოგზაურობა, რომელიც დაათვალიერებს მარტვილს, ნახაროზოუს და მათხოჯის მონასტრებს, აბაშის ჩანჩქერებს და მინგრელსკის სასახლეს ს. გორდში. მონაწილეობის მიღება შეუძლიან სხვათაც, გარდა ბავშვებისა. ეს სურვილი „კოლხიდის“ რედაქციაში უნდა განაცხადონ.

ამ მოკლე დროში ბორჯომში, მსახიობ პ. შოთაძის ასულის, ი. ზარდალიშვილის და მგოსან გრიშაშვილის მონაწილეობით, წარმოდგენა გაიმართება. ამ წარმოდგენის შემოსავლის ნახევარი პეტერბურგის უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადიდება. („კოლხ.“).

აკაკის მოგზაურობა.

(დეპეშა).

გუშინდელ ნადიმზე სამასზე მეტი კაცი დაესწრო. ნადიმმა მეტად მხიარულად ჩაიარა. თამადად იყო თავადაზნაურთა წინამძღოლი დავით ჯაფარიძე. აკაკიმ საუცხოო სიტყვა სთქვა. მას უპასუხა დეკანოზმა მათე გორდეზიანმა. ქართველმა ებრაელებმა მგოსანს მოართვეს ტორტი, რომელიც ლირას გამოხატავდა. სიმღერამა და ფერხულმა შუაღამემდე გასტანა. კინემოტოგრაფი სურათებს იღებდა. მგზავრობის გეზი შეიცვალა, რადგანაც გზები გაფუჭებულია და მგოსანიც მოიღალა. დღეს, უკან ვბრუნდებით. სამშაბათს ლაილაშს ვიქნებით.

გ. დიასამიძე.

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

კვირას, 29 ივლისს, ანჩისხატის ტაძარში, ტფ. ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთა თაოსნობით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ პროფესორ-ჟურნალისტის ა. ს. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდე დეკანოზმა ნ. თალაქვაძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა. პანაშვიდს ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთა გარდა დიდძალი გარეშე ხალხიც დაესწრო.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა, განსვენებულის პროფ. ა. ს. ხახანაშვილის კუბო გვირგვინით შეამკოს, მთელის შემადგენლობით დაესწროს დასაფლავებას, სამძიმარი გამოუცხადოს განსვენებულის ჭირისუფალთ და მის გარდაცვალების ამბავი აუწყოს ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებას, რომელიც მომავალ პარასკევისთვის არის დანიშნული.

გორი. 26 ივლისს მოხდა ქალაქის გამგეობის ხმოსანთა სასწრაფო კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა—გაიგზავნოს ქალაქის წარმომადგენელი ქ. სამარაში განსვენებულის ნეშტის გამოსასვენებლად სამშობლოში და რამდენიმეჯერ პანაშვიდი გადაიხადოს. პირველი პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნა ადგილობრივ საკრებულო ტაძარში პარასკევს, 27 ივლისს. პანაშვიდს დაესწრო ქალაქის თავი, ხმოსნები, პრესის წარმომადგენელნი, ადგილობრივი და ახლო-მახლო სოფლების ინტელიგენცია და მრავალი ხალხი. დაესწრნენ აგრეთვე სომხის წარმომადგენელნიც. მოკლე სიტყვა წარმოსთქვა მღვდ. კავკასიძემ. მშვენივრადა გალობდა ინტელიგენტთა გუნდი. მეორე პანაშვიდი გადაიხადეს კვირას, 29 ივლისს, იმავ საკრებულო ტაძარში.

სოფ. ხოვლე (ქართლი). ამა წლის 28 მკათათვეს აქაურმა მღვდელმა ლონგინოზ კავსაძემ წირვა და პანაშვიდი გადაიხადა ახლად გარდაცვალებულ **პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის** სულის მოსახსენებლად. მრავლად დამსწრე საზოგადოება როგორც თავად-აზნაურობა, ისე გლეხობაც დიდს მწუხარებას გამოსთქვამდნენ ახალგაზდა ჯან-ღონით სავსე ადამიანის დაკარგვის გამო.

სოფელი ხონი (შორაპნის მაზრა). კვირას, 29 ივლისს, ხონის წმინდა გიორგის ეკლესიაში მღვდელმა დავით კვიჟინაძემ გადაიხადა **პანაშვიდი** პროფეს. ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ მამა დავითმა მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ალექსანდრეს შრომა მოღვაწეობაზე. ხალხი ჩვეულებრივზე მეტი დაესწრო.

სოფ. ზედა-ილემი (შორაპნის მაზრა). კვირას, 29 ივლისს, ადგილობრივმა მღვ. მ. ვასილ გორგაძემ გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულის ღირსეული ქართველის და სასიქადულო მამულიშვილის პროფ. ალ. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო. პანაშვიდის წინ სიტყვა წარმოსთქვა, მასწ. ტფ. სას. სასწ. მღვ. არჩილ გორგაძემ და მოკლეთ დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა.

სამძიმრის დეპეშები.

კრიაჟა. განსვენებულის ცვამი ქალაქ სამარიდან 28 ივლისს გამოვისტუმრეთ. მარშრუტი ასეთია: ბათრაკი, პენზა, ბალაშოვი, ლისკი, როსტოვი, ბალაჯარი. ანდერძი აუგეს დღეს ქართველთა სათვისტომოს თანადასწრებით. მიცვალებულის გვამს თან მისდევენ იქევისა და ექიმი ნემსაძე, რომელსაც ჩავაბარე ანდერძის პირი.

ლამბარაშვილი.

ქუთაისი. ქუთაისის განყოფილება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა იზიარებს მთელ ქართველ საზოგადოების მწუხარებას სამშობლო ლიტერატურის თვალსაჩინო და დაუღალავ მოღვაწის, დაუვიწყარ ალექსანდრე ხახანაშვილის მოულოდნელ გარდაცვალების გამო. გულითად სამძიმარს ვუთვლით განსვენებულის ნათესავებსა და მახლობელთაც.

გამგეობის თავმჯდომარე ზდანოვიჩი.

თელავი. თელავის განყოფილება წ. კ. გ. საზოგადოებისა ულრმესად დაამწუხრა საქართველოს საუკეთესო შვილის პროფესორ ხახანაშვილის უდროო და აუნაზღაურებელმა დაკარგვამ. ხვალ პანაშვიდს ვიხდით.

გამგეობა.

ქუთაისი. გული მოგვიკლა პროფესორ ხახანაშვილის გარდაცვალებამ.

მიხეილ, მოსე და ნიკოლოზ ქიქოძენი.

ზაქათალა. ვგლოვობთ უდროოდ გარდაცვალებულ პროფესორ ხახანაშვილსა.

ზაქათალის ქართველობა.

ვეისერ ჰირშ. დაუღალავ მოღვაწის ალექსანდრე ხახანაშვილის სიკვდილს გულით ვგლოვობ.

ნესტორ პეტრიაშვილი.

მოსკოვი. მოსკოვის ქართული საზოგადოება საქართველოსთან ერთად იგლოვს დაუღალავ მოღვაწე ალექსანდრე ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალებას.

თავმჯდომარის ამხანაგი თულაშვილი.

წალვერი. სანატორიუმის მობინადრენი ქართველთა მწუხარებას უზიარებენ თავის გლოვას იშვიათს საზოგადო მოღვაწე პროფესორ ხახანაშვილის გარდაცვალების გამო, მან მთელი სიცოცხლე შესწირა ძვირფას სამშობლოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლას.

ვანდა ღამბაშიძე, მარიამ ღოღობერიძე, ვერა ლორთქიფანიძე, ანნა წერეთელი, ანასტასია ჩაბაბ-ძე, ხახე ამირეჯიბი, ანასტასია გაპაშვილი, ალექსანდრა ანგიცუკი, ასტარა ხითაროვი, ტატიანა ქიქოძე, ანტანინა ფალავა დავით ავალიანი, ფილიპე მგელაძე, ამბაკო ანდღულაძე, ექიმი მიქელაძე.

ხონი. გამგეობა წერა-კითხვის საზოგადოების ხონის განყოფილებასა გლოვობს მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ხახანაშვილის დაკარგვას და გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას ქართველ საზოგადოებასთან ერთად.

ალექსი ჭიჭინაძე.

სამტრედია. დიდათ დაგვალონა დაუღალავ მუშაკის მეცნიერ ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალებამ.

გამგეობა სამტრედიის წერა-კითხვის საზოგადოებისა.

აბასთუმანი. გამოჩენილ დაუღალავ კალმოსნისა და ქართველ მეცნიერ ალექსანდრე ხახანაშვილის სამშობლოს გარედ უდროოდ გარდაცვალებამ გული დაგვწყვიტა. ამ სახელოვან ნაყოფიერ ქართველის ხსოვნა არასოდეს არ წარიხოცება მისთვის ძვირფას თანამემამულეთა გულიდან, მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, მთელი თავისი ნივთიერი შეძლება სამშობლო ქვეყნის საჭიროებას მოახმარა. მისი სულის მოსახსენებლად აუარებელ მლოცველთა თანადასწრებით პანაშვიდი გადავიხადეთ. პანაშვიდის დაწყებამდე ქუთაისის საკრებულო ტაძრის დეკანოზმა ცაგარეიშვილმა შესაფერი სიტყვა გრძნობიერად სთქვა.

აბასთუმანში მოაგარაკე ქართველობა.

ქუთაისი. უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქუთაისის გუბერნიის ახალგაზდობის დამხმარე საზოგადოების გამგეობა, გულითა სწუხს გამოჩენილ ქართველ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვის გამო.

გამგეობის თავმჯდომარე ელისაბედ ნიკოლოზის ასული ხიჩინოვი.

ერევანი. მწარედ დავსტირი პროფესორ ხახანაშვილის დაკარგვას; იგი იყო ჩემი სიყრმის ამხანაგი და დაუღალავი მოღვაწე.

სიკო ცასრაძე.

ახალსენაკი. სენაკის განყოფილება წ. კ. გ. საზოგადოებისა, ულრმესად ჰგლოვობს სამშობლო ქვეყნის საუკეთესო შვილის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვას.

ბაქო. ბაქოს განყოფილება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა, ულრმესად დაამწუხრა საქართველოს ისტორიისა და სიტყვიერების დაუღალავ მკვლევარის პროფესორ ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალებამ. ჩვენს მწუხარებას ვაცხადებთ ამ აუნაზღაურებელ დანაკლისის გამო.

მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ **ქართულ კულტურის მოყვარეთა წრის**“ წევრნი, დალონებულნი წრის საპატიო თავმჯდომარის, დაუვიწყარ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის გარდაცვალებით, გლოვობენ მთელ საქართველოსთან ერთათ ქართველ ერის ერთ საუკეთესო შვილთაგანის უდროოდ დაკარგვას.

მდივანი წრის გამგეობისა **გრიგოლ ვეშაპიძე.**

ქუთაისის აბ-კარგი.

3—4 თვის წინად ქუთაისი ახმაურდა საკომერციო სასწავლებლის დაარსების თაობაზე. ბ-ნ ვარლამ ქილაძის მეცადინეობით საკომერციო სასწავლებლის საოლქო ინსპექტორი მოვიდა ქუთაისში, მისი მონაწილეობით შესდგა კრება, რომელსაც დაესწრენ ქალაქისა და ვაჭრების— წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწენი. თათბირის დროს აღმოჩნდა, რომ საკომერციო სასწავლებლის დაარსება და მოწყობა ძნელს საქმეს არ წარმოადგენს; ბ-მა ფიშერმა აღუთქვა დამსწრეთ და მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქის თვითმართებლობა ენერგიულად შეუდგებოდა საქმის განხორციელებას.

მაგრამ მას აქეთ რამდენიმე თვემ განვლო და ჯერ არაფერი ისმის.

ქუთაისის გუბერნიისათვის, რომ საკომერციო სასწავლებლის დაარსება დიდ საჭიროებას წარმოადგენს ეს არავისთვის საეჭვო აღარ არის და ამიტომ ვფიქრობთ, რომ ქალაქის თვითმართველობა მოვალეა მეტი გულმტკივნეულობა გამოიჩინოს და ეს საქმე განახორციელოს, მით უმეტეს ეს თავ-სატეხს არაფერს წარმოადგენს და თვით ქალაქს არაფერი არ დაეხარჯება.

მოგახსენებ, რომ ამ საქმის მიფუჩეჩების მიზეზი ვითომც ის იყოს, რომ საქმის თაოსნობა ქალაქის მეთაურს არ ეკუთვნის და ამიტომ არც თავს იცხელებსო არა გვჯერა ეს ამბავი და ალბად სხვა რამე მიზეზი თუა ამ საქმის მიყრუებისა.

ამ ნაირივე საქმე ეწია ვარლამ ქილაძის მეორე ინიციატივას ქალაქის ბანკის დაარსების შესახებ. ქალაქის ბანკი, რომლის აპერაციები მრავალმხრივი და ფეროვანია, დიდი ხნის დაარსებული უნდა ყოფილიყო ქუთაისში. საკმაოა აღვნიშნო, რომ წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, უძრავი მამულის მესაკუთრენი, მოხელენი ყოველგვარ კრედიტს მოკლებული არიან. კომერციული და საურთიერთო ბანკები ვაჭრებს თუ ეხმარებიან კრედიტით, თორემ სხვებისთვის თავს არ შეიწუხებენ; ამიტომ ჩარჩები დიდ საძკალს პოულობენ ქალაქის მცხოვრებთა სხვა და სხვა სფერაში. ვფიქრობდით, რომ ქალაქის თვითმართებლობა, რომელიც ბ-ნი ქილაძის წინადადებას სიამოვნებით შეჰხვდა, დიდ ხანს არ დააგვიანებდა და ქალაქის ბანკს საძირკველს ჩაუყრიდა, მით უმეტეს საშუალება ასეთ ბანკის დაარსებას დიდი არ სჭირია და ფორმალურის მხრით დიდი შუამდგომლობა და მეცადინეობა არ არის საჭირო, რომ ასეთი ბანკის დაარსების ნებართვა მიიღოს კაცმა.

ერთად ერთი მიზეზი, რომელიც შეიძლება მოიყვანონ ქალაქის გამგეობამ და საბჭომ თავისი დაუდევრობის გასამართლებლად ის არის, რომ ზაფხულმა მოგვასწრო და საქმეს თავი ვერ მოვუყარეთო, მაგრამ ვფიქრობთ ეს მიზეზიც მოსაყვანი არ იქნებოდა გული რომ გულობდეს.

კეს.

კიდევ ჩვენ ხალხურს პოეზიაზე

ქართველები დიდ უბედობას განვიცდით. თანამედროვე ცხოვრების პირობები დედინაცვლობას გვიწევს —ჩვენ წმიდა-წმიდათაში შხამიან ხელებს აფათურებს და მის ჩაკვლას ლამობს.

მაგრამ ჩვენც, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთი ვანუგეშოთ და საერთო მძიმე ჭაპანის წევა გავიადვილოთ, ხშირად მამა-პაპათაგან გაჩაღებულ ცეცხლს ჩვენივე ხელით ვაქრობთ.

ვინ მოსთვლის, რავდენი კერა ავანგრიეთ, რავდენი სამსხვერპლო, ჩვენი სისხლით შეღებილი, გავატანეთ სხვას, რავდენი უუძვირფასესი მანუსკრიპტით გავამდიდრეთ უცხოთა მუზეუმები და წიგნთსაცავები. მიდის ხელიდან ის, რასაც ეწოდება ერის სული, გვირგვინი, სიამაყე, საფუძველი არსებობისა.

გვაქვს მხოლოდ ერთი ხელუხლებელი, შეუმწიკლავი სამსხვერპლო, ერთი ქვაკუთხედი ერის სულიერ არსებობის — ხალხური ზეპირ-სიტყვიერება, ეროვნული პოეზია, ერის ფილოსოფია, სიბრძნე, სიმღერა, თამაში, ადათი, ზნე-ჩვეულება, თქმულება.

ჩვენში კი გეროსტრატებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ამბობდნენ: რა დროს ზღაპარია, რა დროს მითოლოგია, ეს ხომ ანაქრონიზმიაო, ხალხურმა სიტყვიერებამ თავის დრო მოჭამა და წიაღსა შინა აბრაამისას განისვენაო!

მათ ვერ შეიგნეს, რომ პუშკინი „ზღაპრებითა“ და „სლავიანების სიმღერებით“ არის უკვდავი და არა „ევგენი ანეგინით“, ლერმონტოვი „კალაშნიკოვით“ და არა „პეჩორინით, გიოტე—„ფაუსტით“, ვაჟა—„გველი ჭამიით“, „ეთერით“, „კოპალათი“, „ბახტრიონით“! ჩვენებური გეროსტრატები რას დააფასებენ ეროვნულ სიუჟეტების როლს მუსიკაში, სიმფონიაში! რა იციან, თუ რა არის „სადკო ვაჭარი“ და „სნეგუროჩკა“ რიმსკი-კორსაკოვისა, ან რაზეა აგებული გლინკას მუსიკის დედა-ძარღვი, ამის და გაუგებრად მათ სიცილადაც არ ეყოფათ, ჩვენი ახალგაზდა კომპოზიტორი „მაყბაყ დევს და ამირანს“ [illegible] ჩვენ კი სიხარულით [illegible] ვამჩნევთ, რომ ამ [illegible] ერის ბუდიდან იწყეს ჩეკა—ახალმა მგოსნებმა და მომღერლებმა და ხელი მოჰკიდეს ეროვნულ სიუჟეტებს. გვახარებს ის კი არა, რომ მათ ალლო აიღეს, კვალში ჩადგენ და რაც გინდა სუსტნი იყვნენ, „თელილ კვალს“ მაინც დაუნარჩუნებენ მომავალ მუშაკებს და მით გაუადვილებენ ეკლიან გზაზე სვლას და ამ გზის სიძნელეს“.

ამ მუშაკთ რა სჭირიათ? მასალის კრეფა, ბეჭდვა, ძიება, მიწოდება, საკვები. ასეთი საკვებია ხალხის ცხოვრება, ენა, სიმღერა, ზნე-ჩვეულება. სადღაა ეს ცხოვრება, თუ არა ხალხისავე სიტყვიერებაში, მუსიკაში, ფილოსოფიაში, მსოფლმხედველობაში, რწმენაში!

ყოველი საქმე მასალის შეკრებით იწყება და ჩვენც ამ გზას ვერ ავცდებით. უმეტესობამ ეს შავი, მაგრამ მადლიანი, საშვილიშვილო მუშაობა უნდა ვიკისროთ. რომ ახალი თაობა აღვზარდოთ, აღვზარდოთ თვით ერის გულზე, მის დედის მკერდზე, დედის ნანაზე, კვამლიან ფაცხაში კერასთან, თოხნაში, მკაში, ნადურზე, შავლეგზე, ლილეზე, სასანშეგურზე, ყარანაზე, ხელხვავზე, თამარ-ქალზე, ფერხულზე, ჩვენ ცეკვა-ტირილზე, რომ ძირებს შტო არ მოსწყდეს და პირში დედის რძე დედინაცვლის შრატად არ იქცეს“.

დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ მასალას უნდა კრეფა, ამით შეიძლება, მკვიდრი საძირკველი ჩაეყაროს ჩვენს მომავალს ეროვნულს მეცნიერებას,—მხატვრობას, მუსიკას, სიტყვიერებას.

„ფაუსტის“ ზღაპარმა ევროპაში ბევრს აუშალა საღერღელი და ბევრმა სცადა თავისი ნიჭი, მაგრამ ვერ ჩასწვდნენ მის ღრმა ფილოსოფიას, მსოფლიო ღალადს, ბრძოლა-პროტესტის-ცდენის გარდაუვალ კანონს, მაგრამ მაინც ნიადაგი დამუშავდა, და ბოლოს აღმოცენდა მსოფლიო ტიტანი—გიოტე. მან მაგრა დაბღუჯა ეს დევი—ზღაპარი და შვა დრამატიული პოემა „ფაუსტი“, ე. ი. გვირგვინი დაადგა ევროპის პოეზიას—მუსიკას.

რატომ არ შეიძლება, რო ასევე მოხდეს ჩვენშიც. ჩვენც შეგვიძლია გვქონდეს მოლოდინი, რომ „გველისჭამიას“ მეორე ვაჟა გამოუჩნდება, რომელიც მას გამოსადენ წვენს გამოადენს და გვირგვინს დაადგამს ქართულს პოეზიას! ან ვინმე ახალი გენიოსი ქართველი პოეტი მიაგნებს ქართულს ზღაპარს: „მიწა თავისას წაიღებს“ და „ფაუსტს“ ლილას წაუხდენს, რადგანაც ჩვენი ზღაპარი ფაუსტისაზე ბევრად უფრო ღრმა და მსოფლიოა! ამას იქმს ერთი ზღაპარი და განა ერთი და ასი გვაქვს ასეთი მარგალიტები, რომ პატრონი უვარგოდეს!

მარკ

ეტიუდი.

მშვენიერი საღამო იყო...

ჩამავალი მზე ზღვის თვალუწვდენ სივრცეს სისხლის ფრადა ჰღებავდა...

ცა, უვარსკვლავო, ნისლიანი ცა სევდით ავსებდა შავი ზღვის პირას გაშენებულ საოცნებო ბაღს. მოსეირნე ხალხი მაინც მხიარულობდა, იცინოდა...

გავშორდი მათ...

მზის სხივები უკანასკნელად ეალერსებოდა ზღვის მოგიჟმაჟე ტალღებს...

ჰაერი თან და თან გრილდებოდა... ნელი ნიავი მელოდიური სისინით აშრიალებდა ხეთა ფოთლებს...

საოცნებო რამ იყო ამ დროს მიმავალი გემი... მომენატრა მეზღვაურობა, მათი გამბედაობა, აქოთებულ ზღვის ზვირთებზე ქროლვა.

კარგა მანძილით დავშორდი ბაღსა და მოფუსფუსე ხალხს...

ზღვის ქვიშნარ ნაპირებზე მხართეძოზე წამოწოლილიყო ახალგაზდა უცნობი ქალი და ნაღვლიანის თვალებით გასცქეროდა დაუსრულებელ ზღვის სივრცეს.

შევკრთი...

მინდოდა გზისთვის ამეხვივნა, მაგრამ დავიბენი და ქანდაკებასავით ერთ ადგილას გავშეშდი...

მოიხედა...

შერცხვა...

ცრემლიანი თვალები მოიწმინდა და უხერხულ მდგომარეობიდან გამოსარკვევად კენჭების კრეფა დაიწყო...

— რა, შეგაშინეთ?—მითხრა ნელის ხმით.

— არა... ისე. — ძლივ-ძლივობით მიუგე ფერ-დაკარგულმა...

— ბერძენი ხართ?

— არა.

— მაშ ვინა ხართ?

— ქართველი.

— ბერძენი მეგონეთ!.. რომ იცოდეთ როგორი მიყვარს ბერძენი!.. ნეტავი თქვენც ბერძენი იყოთ...

გავოცდი...

— მხოლოდ ბერძენი გიყვართ?—თავაზიანათ შევეკითხე...

— არა, მაგრამ, მომეტებულად კი...

— მერე რისთვის... რა მიზეზია?..

— მიზეზი საპატიოა და დიდიც...

— სახელდობრ?

— აი, დაბრძანდით, ჩემო ძამია, და ყველაფერს გეტყვით.

მომეწონა მისი უბრალო, კეთილშობილური საუბარი... ცნობის მოყვარეობაც აღმეძრა.

— შეიძლება თქვენთვის საინტერესო არც კი იყოს ჩემი თავ-გადასავალი...

— რასა ბრძანებთ, ბატონო! სიამოვნებით მოგისმენთ...

— ახლად ჩამოსული ვიყავი ამ ქალაქში, როდესაც პირველად ამ ზღვის ნაპირების ქუჩებში დავსეირნობდი... ერთმა ახალგაზრდა მოხდენილმა ბერძენმა მიიზიდა ჩემი ყურადღება... მოწყენილი და მეტყველ თვალებით მომაშტერდა...

მომეწონა...

გავწითლდი...

მომხიბლა...

თვალს ველარ ვაშორებდი...

მის სახეზე აღბეჭდილი იყო ღრმა მწუხარება, რაღაც საიდუმლო, დაფარული და გამოუცნობი მწუხარება, რომლის მსგავსი არც ერთ ადამიანის სახეზე არ მინახავს... მისი სახე განხორციელებულ სათნოებას წარმოადგენდა...

დამატყვევა...

მომაჯადოვა...

ჩემდა უნებლიეთ მიუახლოვდი... სიამოვნების ჟრუანტელმა ამიტანა...

— ნავით სეირნობა ხომ არა გნებავთ?—ზრდილობიანის კილოთი შემეკითხა..

— დიახ!—ათრთოლებულის ხმით უპასუხე და სიწითლისაგან თავი ჩავღუნე...

— მობრძანდით! კვეხნად არ ჩამომართვათ და შავ-ზღვაზე ნაოსანთა შორის პირველობა ჩემს ნავს ეკუთვნის..

— მაშ, აბა დამიმტკიცეთ!

— სიამოვნებით!—მომიგო მან და გამიძღვა წინ...

ჩავსხედით. აუშვა ნავი და სრიალ-სრიალით გავსწიეთ ზღვის ლურჯ სივრცეში...

— ზღვისა არ გეშინიანთ? შევეკითხე.

— ჰმ!—ჩაიცინა მან—განა თევზს შეეშინდება წყლისა? მე და ჩემი წინაპრებიც ზღვასთან შევზრდილვართ... მან გვშობა და მასვე ვეკუთვნით სულითაც და ხორცითაც... მამაჩემიც მან იმსხვერპლა...

— და მის შემდეგ კიდევ გიყვართ იგი?

— ოო, ძალიან, ძალიან მიყვარს! უზღვოთ სიცოცხლე არ შემიძლიან, თუმცა იგი გვანთქავს, მაგრამ მაინც მიყვარს, მიყვარს რადგანაც თვით ჩვენი ცხოვრება ზღვაა და სხვა არაფერი... რომ იცოდეთ თუ რა აღმტაც ნეტარებას განვიცდი, რა გულზვიადობასა და სულის სიამაყეს ვგრძნობ, როდესაც ქარიშხლის ღმერთივით ზღვის ფაფარ-აშლილ გოლიათ ზვირთთა მთებზე მივაქროლებ ჩემს მაცხოვრებელსა და ჩემსავე დამღუპველ ნავს, მერწმუნეთ, მაშინ თქვენც ისე გეყვარებოდათ ეს ულმობელი ზღვა, როგორც მე...

ზღვას ლაჩარი ეჯავრება... მას თავისავით მამაცი, გამბედავი და ძალ-გულოვანი ვაჟ-კაცი უყვარს. მხდალსა და მშიშარს არც უფლება აქვს ატაროს მეზღვაურის სახელი...

— რა გქვიანთ? - შევეკითხე.

— მეზღვაური.

— არა, სახელს გეკითხებით...

— მარკ, ბატონო!

— მარკ! ზღვა თან და თან ღელდება.. შორს ნულარ წავალთ..

— ბატონი ბრძანდებით!

— რა დროა მარკ!

— რა მოგახსენო, საათი არა მაქვს.

— ერთი საათი იქნება, რაც ვიცურეთ?

— დიახ, იქნება.

— მაშ, დავბრუნდეთ უკან.

— ძალიან კარგი, ახლავე!—სთქვა, ღრმად ამოიოხრა და ნაპირისკენ გამოაშურა ნავი...

რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე ხმელეთზე ვიყავით.

— რა გერგებათ?

— არაფერი!—მომიგო მან.

— არა, მარკ! რაც გეკუთვნით მიიღეთ, თუ ღმერთი გწამთ.

— გეფიცებით, არაფერი მეთქი, მე იმდენი კარგი და ძვირფასი რამ მომაგონეთ და მაგრძნობინეთ ჩემის წარსულის ცხოვრებიდან, რომ მადლობის მეტი არა მეთქმის რა, არამც თუ ფული გამოგართვათ.

— არა, არ შემიძლიან მარკ! მე არ შემიძლიან...

— თუ შეურაცხყოფად მიგაჩნიათ მიბოძეთ...

— არა, მაგრამ... გამომართვით... კიდევ შევხვდებით ერთმანეთს... ნახვამდის მარკ...

— ნახვამდის კეთილო!—სთქვა და განვშორდით.

ეს იყო და ეს... მას შემდეგ დავახლოვდით, ხშირად ვსეირნობდით ზღვაზე... მეგობრული გრძნობა ბოლოს სიყვარულად შეიცვალა და ..

— და?

ერთხელ, სწორედ ასეთ საოცნებო საღამოს, აი, ამ ადგილას ვისხედით მარტოდ-მარტო მე და მარკი... მოწყენილი, დამწუხრებული დიდრონი თვალებით მიმზერდა, თითქოს რიღაცის თქმა უნდოდა, რასაც მე ვერ მივმხვდარიყავი, ვერ გამეგო... მეშინოდა, ყოველთვის მეშინოდა არაფერი დამართოდა...

მოუსვენრობა ეტყობოდა...

შეაჟრჟოლა...

ფერ-ფური წამივიდა...

გული უცნაურად ამიჩქროლდა...

გონება მეკარგებოდა...

— მარკ, რა დაგემართა მარკ?

— არაფერი, ჩემო კარგო, არაფერი! რაღაც სიცივესა ვგრძნობ... შენ აქ იყავი... მე ცოტა ხნით ვიბანავებ თბილ ზღვაში... მგონია მარგოს...

— წადი ჩემო მარკ, წადი... მაგრამ შორს არ წახვიდე, ახლოს იცურე, რომ მე გხედავდე..

მარკმა საჩქაროდ გაიძრო ტანისამოსი და გადაეშვა ზღვის გულში...

წყნარი, მიყუჩებული ზღვა, თითქოს გამოცოცხლდა, აფამაშდა... ხან მხიარული და ხან ბრაზ მორეული ზღვა ცეკვავდა, ვიღაცას დამღუპველ დავლურს უვლიდა...

მარკი ძლიერის მოსმით, განიერი მკერდით მიარღვევდა ზღვის აფორიაქებულ გულსა და მისცურავდა...

— მარკ, მეშინიან მარკ... შორს ნუღარ მიხვალ, ნუ!.. ვეღარც კი გხედავ მარკ... დაბრუნდი უკან... გევედრები, გეხვეწები მარკ... დაბრუნდი... დაბრუნდი. მივდევდი და შეშლილისავით მივკიოდი უდაბნო ზღვის ნაპირებზე...

მარკი აღარა სჩანდა... ყოველივე ნისლმა დაჰფარა...

ზღვა ჰბორგავდა, ტორტმანებდა...

შორს, საიდანღაც ყრუდ მოისმოდა მისი ოხვრა-ხან უიმედო და განწირული, ხანკი დაკოდილ შევარდენის მზგავსი...

ქარიშხლიან ზღვის ღრიანცელს უერთდებოდა ჩემი წივილ-კივილი.

ამაო იყო ძახილი...

— მარკ!.. მარკ! ვყიოდი დაკოდილი დედა არწივივით, მაგრამ ზღვამ, წყეულმა ზღვამ აღარ დამიბრუნა ჩემი მარკი, ჩემი მზე, ჩემი საუნჯე, ჩემი ყველა...

აღარაფერი დამრჩენიარა გარდა ცრემლისა და მწუხარებისა...

სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი თუ მაჩვენებს ჩემს მარკს, ჩემს სიცოცხლეს“.

ქალი ერთხან გაშტერებით გაჩუმდა. მერე კი წყნარად წარმოსთქვა: ამისათვის მიყვარს ბერძნები.

ზღვა მარკის სამარეა და ისიც ამისათვის მიყვარს.

ქალის თვალები ცრემლმა დანამა.

გ. ქურიშვილი.

ვიმეორებ, რომ ეროვნული კულტურის წინსვლა, მისი დაკავშირება ხალხის გულთან, მისი ელფერის დაცვა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლო და სხვით არა. ჯერ მარტო ენა აიღეთ. ერის ენა და პოეზია სინონიმებია: პოეზია ენაა, ენა—პოეზიაა. ასევეა პოეზია და მუსიკაც. ესენიც ტყუპებია. მაგრამ

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას—
გვიმღერა გრ. ორბელიანმა.

მაშასადამე ასევე ითქმის ენის ტყუპზე—პოეზიაზეც. ენაც აქაა, გრძნობაც, აზროვნებაც, მუსიკაც, ტრაგედიაც, მთელი სულიერი არსებაც ერისა, და მეცნიერება იქნება თუ ხელოვნება ამ ნიადაგს, ამ წყაროს აცილებული ის ჰაერზე იქნება დაკიდებული და ერის გულიდან მოწყვეტილი.

(დასასრული იქნება)

მღვ. მ. კელენჯერიძე.

მოგზაურობა ატენის ხეობაში.

(დასასრული *)

დავათვალიერეთ ღვთის-მშობლის ძველი ეკლესია, რომელიც აქვე გვერდითაა. ეკლესია ძლიერ პატარა ყოფილა, ამიტომ 1870 წელს უკანიდან მიუდგამთ პატარა შენობა. კანკელის მარცხნივ, კუთხეში, მოთავსებულია საუცხოო ჩუქურთმიანი კედელი, სიგანით 1½ არშ., სიმაღლით 1¼ არშ. ზედ ამოჭრილია წმ. მოციქულნი მათე და მარკოზი ხუცური ქარაგმებით. სამწუხაროდ სახე ორივეს ბოროტი ხელით თუ სხვა რამ გარემოებით ჩამომტვრეული აქვთ. ამ ქვის შესახებ ბ. ივანე ალექსანდრეს ძემ ბრძანა,—ამისთანა ძვირფასი ნაშთი იშვიათია, მთელ საქართველოში სულ ხუთი-ექვსია, რამდენიმე საფარის მონასტერშიო. ეკლესიის შუა კედლის კარების თავზე დახატულია ღვთისმშობელი მაცხოვარით ხელში. ეს ნახატი ჩვენმა მობაასემ მიაკუთვნა 15—16 საუკუნეს. აქედან ბ. ორბელიანების სახლში გადავედით. ხშირ სანახაობას არც ეს წარმოადგენს. სახლი კლდეზეა აგებული და ერთ მოზრდილ ოთახს ცალ კედლად კლდევე აქვს დატანებული იმ სახით, რა სახითაც იგი პირველად ყოფილა; არის კიდევ რამდენიმე პატარა საკუჭნაო და ოთახი, კლდის კედელ-ჭერით, ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სახლის ბანზე ავედით. დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრივ ძველი, ატენის ციხე ცაში ატყორცნილ კლდის წვეროზე გადმოკიდული, აღმოსავლეთით მაღალი, მწვანით მოსილი მთა, ძირს კი, უფსკრულში, თვალუწვდენი მწვანე ზღვა ვენახებისა და ყაამოდ მოკისკისე მდინ. ტანა, სამხრეთით სიონი და ერთი მეორეზე მაღლა აზიდული მთები, ერთი მეორეზე ბუმბერაზი, ამაყი.

დიდხანს, დიდხანს გავყურებდით ამ ჯადოსნურ ბუნებას მდუმარენი, ცსტკბებოდით და ვერ კი დავმტკბარვიყავით მის საოცარ სილამაზით, სიკეკლუცით, განა ასეთი ლაღი ბუნების შვილი დაბეჩავებული უნდა იყვეს ქონებრივად, დაკნინებული გონებრივად?!.

კარგა ხანს ვბაასობდით. სხვათა შორის პატივცემულმა მარიამ ვახტანგის ასულმა გვიამბო, რომ სოფელი ღვთის ანაბარად არის მიტოვებული ყოველ მხრივო,—აგერ, ეხლა ათასნაირი ავადმყოფობაა გავრცელებული ხალხში, პატრონი კი არავინა სჩანს. ფუთობით ვეზიდებით წამლებს, მაგრამ ყველას რას გავწვდებით. აქედან ახლო-მახლო სოფლებსაც ვეხმარებით. აგერ სოფ. ბობნევში ერთი კაცი დახუთულა და დიდი სიცხე აქვს, აქედან წამლებს ვუგზავნით, მაგრამ რას გავხდებით? რა იქმნება, რომ ექიმმა თვეში ერთხელ მაინც შემოიაროს, დაათვალიეროს ხალხიო, გულმტკივნეულად დაამთავრა მან სიტყვა.

ამ ხნობამდის სოფელი რიგიანს წყალსაც მოკლებული ყოფილა, მაგრამ შარშან ბ. ორბელიანს თავის ხარჯით მილებით ჩამოუყვანია სოფლად წყარო და ორი ონკანი გლეხებისთვის გაუმართავს უფასოდ. მადლობის ღირსია ბ. ორბელიანი ასეთ საკეთილო საქმისათვის.

კარგა ხანი იყო გასული, დრო იყო წასვლისა, გამოვემშვიდობეთ მასპინძელთ და ბ. ივანე ალექსანდ. ჯავახიშვილთან და ვ. რცხილაძესთან ერთად გავწიეთ სიონისკენ, რომელიც სოფელზე დაშორებულია 1—1½ ვერსით, მოწიწებით შევუდექით სიონის აღმართს, მოწიწებითვე შევედით გალავანში. სიონის ტაძარი ბ. ივანე ალექსანდრეს ძის სიტყვით, ერთი უშესანიშნავესი ნაშთთაგანია. აგებულია იგი 8—9 საუკუნეში, ხოლო გადაკეთებულია 11—12 საუკ. ტაძარი დიდია, ჯვარედინი გუმბათის ყელი აქვს განიერი, დაბალი, როგორც ეს ძველს დროში იყო მიღებული. საკურთხევლის მარჯვნივ მოთავსებულია სადიაკონე, მარცხნივ სამკვეთრო. კანკელი აქვს აგურის, მარმარილოს ოთხი სვეტით. საკურთხეველში დატანებული აქვს ხარისხები. ხარისხებ შუა, აღმოსავლეთით—საეპისკოპოსო საჯდომი. შუაში დევს ოთხ-კუთხი, დიდი ქვა. ამაზე ყოფილა დადგმული ხის (შეიძლება მარმარილოსიც) ტრაპეზი.

— ამ ტაძრის მხატვრობაო, დაიწყო ბ. ივანე ალექსანდრეს ძემ, გვიჩვენებს, თუ როგორ უმწვერვალესობამდე ყოფილა ხელოვნება განვითარებული. მოხაზულობა არის სადა, ბუნებრივი, სახე სწორი, ნამდვილი, მეტყველი, ფერებიც ყოფილა საკვირველი ნაზი, სად. შემდეგ როცა ხელოვნება დაეცა, ჭრელ-ჭრული, ფერები შემოვიდა. ზოგიერთი სახე, როგორც ჰხედავთ მშვენივრადაა დაცული. ნახატებს თავსა და ბოლოს ლამაზ არშიებს უვლიდნენო. დასავლეთით კედელზე მარცხნივ დახატულია ქართველი მეფეები—ბაგრატ IV, მეფისწული და სხვ. მარჯვნივ კი წინასწარმეტყველნი. მხატვრობა წინად გადაუღია მხატვარს გაგარინს, მაგრამ მას შესწორება უყვარდა, შელამაზება, რის გამოც ნახატები ბუნებრივ სახეს ჰკარგავდნენ. განზრახვა მაქვს მოვიყვანო მხატვარი გრინევსკი და ზოგიერთი სახეები ხელ-ახლად გადვიღოვო, — ბძანა პატივცემულმა მობაასემ. ტაძრის ძველი სახით აღდგენა შეიძლება, მაგრამ ამას 200,000 მანეთამდე დასჭირდებაო. სამწუხაროდ ტაძარი ღამურების ბუდედ გადაქცეულა და ისეთი საზარელი სუნი სდგას, რომ ათი წუთით გაჩერებაც ძნელია. ძალიან დაზიანებულა ტაძრის კამარაც (თაღი). ბევრგან ჩამოდის წვეთი. ესეც ჩვენი დაუდევრობის, გულგრილობის მეტყველია!!.

გარედან ოთხივე კედელზე გამოჭრილია ქანდაკებები. აღმოსავლეთით, ერთს ქანდაკებას აწერია სომხური „ბ.“. და შეიძლება ეს თვით მეფე ბაგრატი იყვესო. მეორეს ხელში უჭირავს ამავე ტაძრის გეგმა. თუ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ პირველად ტაძარი სხვანაირი ყოფილა, ხოლო შემდეგ გადაუკეთებიათო. დასავლეთით სხვათა შორის გამოქანდაკებულია ნადირობა, მხედარი ცხენს მიაჭენებს და თან ისარს ესვრის სამს შველს.

— ეს სასანელთა მეფეების დროინდელი ქანდაკებაა, გვითხრა პატივცემულმა ივანე ალექსანდრეს ძემ. ტაძრის ამშენებელი (ხუროთმოძღვარი) ყოფილა სომეხი, რასაც ამტკიცებს სომხური წარწერა სამხრეთით კედელზე: „მე, თოროზი, აღმაშენებელი წმიდისა ამის ეკლესიისაო“. ამ წარწერას ზემოდან აქვს ასომთავრული ხუცურით დიდი წარწერა. აქ მოთხრობილია ტაძრის აგების ამბავი და ატენი ქალაქად არის მოხსენებული.

ტაძარს ზემოდან დახურული აქვს ბრტყელი, თლილი კლდე. გუმბათზე რამდენიმე ვეება ფიჭვის ხე ამოსულა, ზოგიც მოუჭრიათ. განცვიფრებული ვიყავით ნახულით, გაგონილით. რამდენი შრომა, ენერგია უნდა დაეხარჯათ ჩვენს წინაპართ რომ 30—40 საჟენზე მაგარი კედლები ამოეყვანათ, ქვითა და კლდით ამოევსოთ და ზედ ასეთი მკვიდრი ტაძარი წამოედგათ!!!..

ტაძრის წინ მრავალი ნანგრევებია შენობებისა. სჩანს აქაც ოდესღაც [illegible] სიცოცხლეს, მაგრამ ნელ-ნელა მიდრეკილა მისი მაჯის ცემა, გამქრალა და დღეს მრავალმეტყველ კედელთ შუა ღამურები ღა დაჭყივიან!..

ტაძრის გამშვენიერება განუზრახავს ჩვენს სახელოვან ეპისკოპოსს დავითს, მაგრამ ხელი შეუშლიათ მისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში გადაყვანით. ფანჯრებში ჩარჩოები ჩაუსხავთ, მაგრამ იმდენი ვეღარავის მოუხერხებია, რომ ჩაესხათ მინებიც, რათა ღამურებს შესავალი აღკვეთოდათ!

ნუ თუ პატრონი არავინ გამოუჩნდება ამ წმიდა ადგილს? ნუ თუ 12—13 საუკუნეს შენახული ძვირფასი საუნჯე ეხლა უნდა მივცეთ დანგრევას, განადგურებას?

ორი-სამი საათის ბაასის შემდეგ, მადლობა გადავუხადეთ ბ. ივანე ალექსანდრეს ძეს, ვუსურვეთ ჯანმრთელობა, სიცოცხლე მამულის სასარგებლოდ. მანაც სიხარული გამოსთქვა, რომ განგიზრახავთ სამშობლოს მოვლა-შესწავლა. გამოვემშვიდობეთ ბ. ვ. რცხილაძესაც და ს. ბობნევისკენ გავწიეთ. მაგრამ დიდი გზა აღარ გაგვივლია. გვიანდებოდა, მზე დასავლეთისკენ დაეშვა, მეორე დღეს კი ზოგიერთი ჩვენთაგანი მუშაობას უნდა შესდგომოდა, გამოვტრიალდით უკან და „რა კარგი რამ ხარ, ჩემო სამშობლო“-ო გუგუნით დავეშვით ქვევით. სიმღერით გამოვიარეთ მთელი ხეობა და ღამის თორმეტ საათზე უკვე გორში ვიყავით...

P. S. აქ არ შემიძლია ჩემის მხრივ და ჩემი ამხანაგობის სახელითაც გულწრფელი მადლობა არ მოვახსენო პრივატ-დოცენტს ბ. ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილს იმ სიამისათვის, რომელიც მან გვაგრძნობინა ორი-სამი საათით ტკბილი ბაასით, ბ.ბ. ორბელიანთ გამასპინძლებისათვის და გ. ნახუცრიშვილს, ვ. რცხილაძეს და ე. ო. იოსელიანს გულთბილად მიღებისათვის.

სანგანიძე.

---

*) იხ. „სახ გაზ“ № 662.

პუანკარეს ჩასვლა რუსეთში.

დეპეშები.

პეტერბურგი. საფრანგეთის პირველი მინისტრი პუანკარე უკვე ჩამოვიდა. ნევაზე შეხვდა საზღვაო მინისტრი. ნავთსადგურში დახვდნენ კოკოვცევი, საზონოვი, იზვოლსკი, საზღვაო მინისტრის თანაშემწე, შტაბების უფროსები, პეტერბურგის ნავთსადგურის უფროსი და ბევრნი სხვანი.

11 საათზე პუანკარე პეტრე-პავლეს ტაძარში იყო, პუანკარემ ალექსანდრე მე-3 საფლავს გვირგვინი დაადვა, რომლის ლენტზედაც ეწერა: „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობისაგან“. შემდეგ ფრანგებს დაუთვალიერებიათ პეტრე დიდის პატარა გემი და წასულან სახალხო სახლის დასათვალიერებლად.

28 ივლისს გარეშე საქმეთა მინისტრმა საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტის პუანკარეს პატივსაცემლად სადილი გამართა. პუანკარეს გარდა დასწრებიან: კაბინეტის დირექტორი დემნერი, საფრანგეთის საელჩოს წევრები ელჩის მოთავეობით, პრემიერ-მინისტრი კოკოვცევი, მინისტრები: სამხედრო, საზღვაო, შინაგან და გარეშე საქმეთა, ვაჭრობისა და მრეწველობისა და ბევრნი სხვანი.

28 ივლისსავე პუანკარე ეწვია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოკოვცევსა და გარეშე საქმეთა მინისტრს. სტატს-სეკრეტარმა კოკოვცევმა ვიზიტი გადაუხადა.

ექვს საათზე პუანკარესთან იყვნენ პეტერბურგში არსებული ფრანგთა ახალშენის წარმომადგენელნი.

ვენა. პრესა ძალიან ბევრსა ლაპარაკობს პუანკარეს რუსეთში ჩასვლის გამო. გაზეთები იუწყებიან, იტალია-ოსმალეთის ომის გამო დიდი ლაპარაკი იქნება პეტერბურგშიო. „ნეიე-ფრეიე-პრესე“ იუწყება, რუსეთი შეეცდება დარდანელის საკითხი წამოაყენოსო. მიუხედავად ამისა, საფრანგეთი ავსტრია-ჰუნგრეთს მიჰბაძავს და სტატუს-ქვოს დარღვევას არ მოინდომებს; მინისტრის მოგზაურობას საერთო არა აქვს რა იმ გეგმასთან, რასაც მიზნად მშვიდობიანობის დარღვევა აქვსო. „ცაიტი“ ამბობს, პუანკარეს რუსეთს წასვლა ზრდილობის ნიშანი იყო, რადგან დარბაზობას გადახდა უნდოდაო, მაგრამ ეხლა დიდი მნიშვნელობა შეიძინა, იგი იმ კავშირს განამტკიცებს, რასაც ამ ორი ქვეყნის შედუღება და დამეგობრება აქვს მიზნადაო.

პარიზი. პრესა ძალიან გულმოდგინედ არკვევს პუანკარეს რუსეთში ჩასვლის მნიშვნელობას, იგი ძალიან განამტკიცებს რუსეთ-საფრანგეთის უკვე არსებულ მეგობრობასაო.

პეტერბურგი. მთავრობის ცნობა. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პუანკარეს ჩამოსვლის გამო ხელმეორედ დავარდნილა ხმა, ვითომც რუსეთს სესხის აღება სწადდეს გემთა ასაგებ გეგმის შესასრულებლად. ფინანსთა სამინისტრო ამის გამო აცხადებს, რომ ამგვარი ხმები მტკნარი სიცრუეა და საფუძვლად არა აქვს რა. რუსეთის ხაზინა ეხლა ჩინებულ მდგომარეობაშია და სესხი სრულიად არ ეჭირვება.

„ნეიე-ფრაიე-პრესეში“ მოხსენებული ამბავი, პუანკარესა და რუსეთის მთავრობას ვითომ ჰსურდეთ აღძრან დარდანელის საკითხი მტკნარი სიცრუეა.

პუანკარეს უბოძეს ალექსანდრე ნეველის ორდენი, კაბინეტის დირექტორს დემნერს—სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენი და ლუკს—მეორე ხარისხისა.

ვენა. „ფრემდენბლატი“ მსჯელობს პუანკარეს რუსეთში ჩასვლის გამო და სწერს: სტუმრობის საპოლიტიკო მნიშვნელობა ისაა, რომ რუსეთსა და საფრანგეთის მეგობრობას გააძლიერებსო. ეს წვეულება მანიფესტაციაა, რამაც მშვიდობიანობის დაცვის თვალით თუ შევხედეთ, უნდა გაგვახაროსო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი იმ სადილზე იყო, რომელიც დიდმა მთავრმა ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძემ გაუმართა პუანკარეს.

საფრანგეთის აფიცრებს კრასნოე სელოში რუსეთის ორდენები დაახვედრეს.

პარიზი. პეტერბურგში პუანკარეს დახვედრის გამო, „ტანი“ ამბობს: საფრანგეთს ძალიან იამება ის პატივისცემა, რითაც მეფე და მისი მთავრობა პუანკარეს დახვდაო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

30 ივლისი.

ჩინეთი.

მუკდენი. მოსალოდნელი აჯანყება ჯარისა ჩაქრეს ვაჭრებმა დაპირებით, 40000 მანეთს მოგცემთ მშვიდობიანობის დაცვისათვისო.

კონგრესის გათავება.

დუსელდორფი. გათავდა კონგრესი, რომელიც მოწვეული იყო უბედურ შემთხვევათაგან მუშათა დაზღვევის საკითხის გადასაწყვეტად. შემდეგი კონგრესი მოწვეულ იქნება პარიზში 1914 წელსა.

ბულგარეთი.

სოფია. მთავრობას განზრახვა აქვს უცხოეთის სახელმწიფოებს სთხოვოს, გამართონ ანკეტა ყაჩანიკში მომხდარ ამბის გამო. საჭიროა აგრეთვე პორტაზე გავლენა მოახდინონ, არ განმეორდეს ბულგარების დაჩაგვრის ამბავიო.

მეფე ფერდინანდი უცხოეთიდან დაბრუნდა.

სპარსეთის ამბავი.

თავრიზი. სოუჯბულაყში ოსმალეთის კონსულის მოსამსახურის შვილმა ერთი სპარსელი მოჰკლა, მეორე ოსმალმა სპარსეთის პოლიციელი დასჭრა. ამან აალელვა მცხოვრებლება, ოსმალები ნებას არ აძლევენ გადასახადის აკრეფისას.

ტფილისი. პოლკოვნიკი ტოლმაჩევი იუწყება, 15 ივლისიდან ჩემ მიერ აღებულ სოფელ სატში ვარ რაზმითაო. შაჰსევენები მთელი დღის განმავლობაში ხან მოუახლოვდებიან ხან დაშორდებიან თურმე რუსის რაზმის ბანაკს, თოფსაც ესვრიან. შაჰსევენებს მოუკლავთ ყაზახი, რომელსაც მოხსენება მიჰქონდა თურმე. შაჰსევენებისათვისაც რამდენიმე კაცი მოუკლავთ.

შუჯა-უდ-დოულემ აგარის გუბერნატორს მოსთხოვა ოთხი შაჰსევენის გადმოცემა, რადგან მათ რუსის ტრანსპორტისათვის თოფის სროლა დაუწყიათ.

სპარსეთის საზღვარზე მდგარი კომისარი იუწყება, შაჰსევენებს სასჯელი წარკვეთიათო. წვრილი ტომები მორჩილებას აცხადებენ თურმე.

ყუმბარის სროლა.

სალონიკი. ისროლეს ორი ყუმბარა, ერთი ავსტრიის მიწა-წყალზე, მეორე სატრამვაიო დეპოში.

ოსმალეთი და ჩერნოგორია.

სტამბოლი. ცეტინეში მყოფმა ელჩი რუსტემბეი გაიწვიეს და უკანასკნელ დროს დატრიალებულ ამბის გამო [illegible] სთხოვენ.

ცეტინიე. ჩერნოგორიის მთავრობამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ჩააბარა ნოტა, რითაც სთხოვს, საზღვრების გამო ოსმალეთ-ჩერნოგორიის შუა ჩამოვარდნილი უთანხმოების საქმე გაარჩიეთო.

მაროკოს ხონთქარი.

პარიზი. „ტანის“ სიტყვით გენერალ ლიოტეს ხონთქართან უკვე გაუთავებია მოლაპარაკება ტახტზე ხელის აღების თაობაზე. ხონთქარი საფრანგეთს წასვლამდე ლიოტეს წერილს გადასცემს. იქ ნათქვამი იქნება, ავადმყოფობის გამო ტახტზე ხელი ამიღია და ხონთქრად ჩემი რომელიმე ძმა დანიშნეთო.

მიწის ძვრა ოსმალეთში.

სტამბოლი. 27 ივლისს მიწა ძლიერად იძრა ადრიანოპოლის ოლქში. დანგრეულა 18 დაბა-სოფელი. თითქმის არც ერთი სახლი გადარჩენია დანგრევას, უსახლ-კაროდ 15,000 კაცი დარჩენილა. დაღუპულა 300, დაშავებულა 800. ადრიანოპოლში დანგრეულა 20 მეჩითი და ბევრი სახლი. არავინ დაღუპულა.

შუადღისას ქალაქში კიდევ იძრა მიწა. ბევრგან წყლის მილი გაფუჭდა. ეგეისა და ჰელესპონტის ნაპირებზე ბევრი სოფელი დაღუპულა. ძლიერ დაზიანებულა არქიპელაგი და დარდანელი. დაშავებულ-დასახიჩრებულიც ბევრია. წყლის ნაპირას ზოგგან მიწა გასკდა და ცხელმა წყალმა ამოხეთქა.

სტამბოლში არავინ დაშავებულა და ზარალიც ნაკლებადაა.

ალბანელების მოთხოვნილებანი.

პრიშტინი. ალბანელებმა ოსმალეთის კომისიას გადასცეს თავისი მოთხოვნილებანი; ალბანელები, სხვათა შორის, შემდეგს მოითხოვენ: ალბანეთისათვის განსაკუთრებულ კანონების გამოცემას, მცხოვრებთათვის იარაღის დარიგებას, იმისთანა მოხელეების დანიშვნას, ვისაც ეცოდინებათ ალბანური, აჯანყებულთა პატიებას და ალბანელებმა სამხედრო ბეგარა ევროპის ოსმალეთში უნდა მოიხადონო. მოლაპარაკების ვადა 30 ივლისს თავდება.

რუსეთი

გაზეთის ნომრის დაჭერა

პეტერბურგი. დაიჭირეს „ნევსკაია ზვეზდას“ მე-19 ნომერი, რაშიაც მოთავსებული იყო წერილი: „დაკარგული კლასი“.

ყაჩაღის მოკვლა

ეკატერინბურგი. ქურავლიკის მადნებთან პოლიციელებმა შეტაკების დროს მოჰკლეს ყაჩაღთა ბრბოის მოთავე ვასკა, რომელიც კატორღიდან სამჯერ გამოქცეულა. დაჭერის დროს ერთი სტრაჟნიკი დაუჭრიათ.

მუშების ჩასვლა.

ირკუტსკი. ლენის ამხანაგობის მადნების მუშების პირველი ჯგუფი ჩამოვიდა ოჯახობით, სულ ორი ათას კაცამდე. ქალაქში მშვიდობიანობაა.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილის ქვრივმა—სოლომონ დავითის ძის სარაჯიშვილის ნაქონი ხმალი, ხანჯალი, საპირისწამლე და დამბაჩა.

2) მღვდელ-მონაზონმა ტარასმა (დაარიის მონასტრიდან): ა) ხუთ კუთხედი აგური ამობურცული ჯვრითა და ხუცური წარწერითა, ბ) თორმეტი შავი, ერთი ნიკელისა და თოთხმეტი ვერცხლის ფული, გ) თითბრის ქეტონი და დ) პატარა ქვა (ორიოლში ნაპოვნი), რომელსაც ზედ ლოკოკინის სახე აჩნევია.

3) მიხაკო ჩარუხჩოვმა (ახალციხელი ქართველი ურია): ორი ყელსაბამი ვერცხლისა.

4) სვიმონ ნიკოლოზის ძემ საავაშვილმა: ხუთი ქართული ფული—სამი ვერცხლისა და ორიც შავი.

5) გრიგოლმა და მისმა ძმებმა დიასამიძეებმა: ა) შავი ფული და ბ) „შემოკლებული ისტორია საქართველოსი“ დავით ბატონიშვილისა (მხედრული ხელნაწერი).

6) მიხეილ დავითის ძემ ჭავჭავაძემ: ა) პორტრეტი-მინიატურა სოლომონ დავითის ძის სარაჯიშვილისა, ბ) იმპერატორ ალექსანდრე მეორის საკორონაციო მედალი და გ) პრესპაპიე მარმარილოსი ალექსანდრე მეორის პორტრეტით.

7) დიღმის მცხოვრებელმა მათია შოშიტაშვილმა: ა) სიბრძნე სიცრუის წიგნი (მხედრული ხელნაწერი), ბ) ქართული კატეხიზმო მხედრული ასოებით ნაბეჭდი და გ) წიგნი, Новѣйшіе французскіе и россійскіе разговоры“, დაბეჭდილი 1830 წ. ქ. პეტერბურგში.

8) მიხეილ სიმონის ძემ მეტეხელმა: ა) ორი სიგელი, ბ) ფულები—თვრამეტი შავი, ერთი ვერცხლისა და ერთი ნიკელისა, გ) სამი ქეტონი თითბრისა (ერთი მოსკოვის 1882 წლის გამოფენის სახსოვრად არის გამოჭრილი).

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

მ-ანის როლი ქართულ ენაში.

იმერელმა მწერლებმა, აქაო და ჩვენ მეტნი ვართ და ამიტომ ჩვენებური ლაპარაკი მწერლობაშიაც უნდა იყვესო, ჯერ დ-ონს დაუწყეს დევნა და მის მაგიერ თ-ანი შემოიღეს, ხოლო ბ-ანის მაგიერ ფ-არი. იმათებურად თურმე კეთილხმოვანება ყოფილა! ჩვენებურად კი ასეთი ლაპარაკი უფრო ჩიფჩიფი იქმნება და არა მეტყველება. ამგვარად თათბირი იქცა **თათფირი**, ცდა—ცთა და სხვ. ის კი დაავიწყდათ, რომ იმერულ-გურული ათადან [illegible] მეგრულ-ჭანურია და ხმების [illegible] ხება იმერულს, [illegible] მეგრულ-ჭანელობა მოსდგამს. მეორე იერიში მიიტანეს ჰ-აეზე. ეს ხმა სულ ხორცმეტი ჰგონიათ განსაკუთრებით ზმნათა უღვლილებაში. ჰ-აე ქართული ზმნებისათვის ორგანოვანი ხმა არის, ესრეთ წოდებული სახელნაცვალი ძირი (pronominalis radix), რომელიც პირის მაჩვენებელია და ზმნის ძირის თავსართად იხმარება. სახელნაცვალი ძირი ფუძეა ქართული ზმნის უღვლილებისა და რას ემგვანება მისი დაგმობა და განდევნა. ჰ-აე ზოგჯერ ს-ანად იქცევა (კბილის მიერი ხმების წინ), ზოგჯერ კიდევ ხ-ანად. მაგ.: სწერს (ჰწერს), სტირის (ჰტირის), **სწუხს** (ჰწუხს) და სხვ.; **ხარ**, (ჰარ), ხართ (ჰართ) და სხვ.

მათი უკანასკნელი იერიში საწყალ **მ-ანს**აც მოხვდა. ამის გამო შემოიღეს **სუყე, სუქანი, სუბუქი, ჩატი, თავარანგელოზი.** აი ვიწრო პარტიკულარიზმი სადამდე მიიყვანს ხოლმე ადამიანსა. მართალია, სულსწრაფი იმერელი ვეღარ ხმარობს თავსართავად **მ-ანსა**, მაგრამ ისიც მართალია, რომ რუსეთის ყოველ გუბერნიას თავისი გოვორი აქვს. რა იქნებოდა, ყველას თავისი გუბერნიის გოვორით რომ ეწერა? ნუ თუ კულტურის შექმნა შეიძლება გარეშე ნორმებისა? იმერელი გრამატიკოსებისთვის რომ დაეჯერებინა, ხომ დაიღუპებოდა რუსული მწერლობა, რომელიც მოსკოვმა მისცა რუსეთსა და პუშკინმა, გოგოლმა და სხვებმა განავითარეს! ჩვენშიაც ასევე იყო. ენა და კულტურა ქართლმა მოგვცა. მწერლობა მეოთხე საუკუნიდან ქართულად სწარმოებდა, ნიჭიერ მწერალთა მიერ შემუშავებულ და განვითარებული.

ქართველს (მეგრელ-ჭან-სვან-აფხაზსა) თუ რამ სცხია **ურქალდუთგან** გამოსულის მამა **აბრაამის** და მისი ძის **ისმაილის**, პირველის მამის და მეორის პაპის **ებრას** შთამომავლობის და ნათესაობისა, ამას ყველაზე უფრო, ცალკე ძირებზე უფრო ცხადს ჰყოფს **მ-ანის** ხმარების ამბავი, იმ **მ-ანისა**, რომელიც მეგრულ-ჭანურ-აფხაზურში **პ-არად** და ბ-ანად იქცა. არაბულს ენაში მოქმედებას განახასიათებს **მ-ანი**, ამიტომ **ალლა**, ღმერთი, **ისლამ**, მინდობა **მ-ანის** თავსართით გამოთქმული გამხდარა **მოლლა**, მღვდელი და **მუსლიმ**, მუსულმანი, მუსლიმი. ქართულს ენაშიაც ასეა. **მ-ანი** (მ, მო, მე,) იხმარება თავსარსად არა თუ აწმყო, არამედ ნამყო მიმღეობისათვისაც, მიუხედველად იმისა, თუ რა გვარი ზმნაა. მაგ.: კეთება, მკეთებელი; სხდომა, მსხდომელი, მსხდარი; ჯდომა, მჯდომელი, მჯდარი.

იხმარება სადაურობის აღსანიშნავადაც, მაგ.:

მღვდელი (ღუდ, ღუთ, ღვთ)
მეგრელი (ეგრისი)
მეგვიპტელი (ეგვიპტე)
მროველი (რუისი)
მაჩაბელი (აჩაბეთი)

სახელ არსისა და სახელ სართისთვის, მაგ.:

მტრედი (ტრედი)
მჟოლი (ჟოლი, იმერ. ბჟოლა)
მატყლი (ტყე)
მერცხალი (**ციქვა**, სომ. **სოხაკ**, ბულბული; **ხოსელ**, ლაპარაკი)
მსახური (სახი)
მსუყე (სუყ.)
მტარვალი (**მტერვა**, **მტრობა**, **ტერება**)
მშვინვა (სუნვა)
მწნილი (წნა)
მჭევრი (ჭორი, ო—უა; სომ. **ჭარ**, სიტყვა)

და სხვა კიდევ მრავალი.

მაგრამ მ—ანის როლი ამით არ დასრულებულა. მიუცილებლად საჭიროა იმ სიტყვებისთვის, რომელთაც საერთო ძირი აქვსთ სხვა ენებთან.

მაგ. **მაგარი** (სომ. **ქარ**. ქვა)
მაზარა (ბერძ. **ზეირა**)
მალალური (რუს. ივოლგა)
მართალი (სომ. **არდარ**)
მარტივი (გერმ. **ერსტე**, ერთი)
მარტო (
მარცვალი (იხ. მარტივი.
მდაბალი (ლათ. **დებილის**, მდარე სუსტი)
მარჯვენა (სომ. აჯ)
მარცხენა (სომ. ახ)
მარცხი (სომ. ცახ, ჩხუბი)
მასპინძელი (ლათ. **ჰოსპეს**, ჰოსპიტის)
მაშარაბ (სომ. **შარაბ**)
მგოსანი (სომ. **გოს**)
მდევი (ლათ. **დეუს**, ღმერთი)
მეინახე (სომ. **ნახ**, წინ)

მელაძუა (ბერ. ალაძონ, ტრაბახა, ცრუ)
მეცადინე (ბერძ. **კედნოს** ბეჯითი)
მზერა (რუს. **ზრეტ**)
მთხვევა (ბერძ. თუხე)
მინდორი (თათრ. **დარა**)
მიწა (ბერძ. **გე**, რუს. **ზემ**)
მკალი (ბერძ. **აკრის**)
მკელობელი (სომ. **კაღ**, რუს. **კალეკა**)
მკერდი, ლათ. **კორს, კორდის** რუს. **სერდცე**, სომ. **სირტ**)
მკვიდრი. ბერძ. **კედიოს**)
მკლავი (ბერძნ. **აგკალის**)
მკვახე (სომხ. **ხაკ**)
მკვრივი (სომხ. **კურ**, მაგარი)
მონა (ბერძ. **ანერ**, კაცი)
მუავე (თურქ. **აჟი**)
მტვერი (ლათ. **ტერრა**, მიწა)
მტილი (თათ. **ტალა**, მინდორი)
მტვრევა (ბერძ. თრაუო)
მუსრვა (სომ. **სურ**, ხმალი)
მუხა (გერ. ეიხ.)
მღერა (რუს. **იგრა**)
მყარი (სომ. ქარ, ქვა, **კურ** მაგარი)
მშვიდი (ლათ. **კვიეტუს**)
მშვილდი (ბერძ. **ხორდე**)
მშა, **მშევა** (სომხ. **სოვ**, მშიერი)
მძაფრი (ბერძ. ძაფელოს)
მძოვრი (ფრან. **შერ**, ლათ. კარო)
მწარე (ლათ. **აცერ**, ფიცხი)
მწვანე (რუს. **ზელენ**)
მჭადი (ბერძ. **სიტოს**)
მხარე (ბერძ. ხორე, ქვეყანა)
მხარი (ბერ. **ხეირ**, ხელი)
და სხვა კიდევ აუარებელი.

ეხლა იმერელ გრამატიკოსებს რომ დაუჯეროთ, ქართულ ლექსიკონში უნდა გავაუქმოთ ორმესამედზე მეტი სიტყვა, რათგანაც მ-ანი ძირის კი არა, თავსართ ხმად დართვიათ.

მართალია ისიც, რომ ორიოდე სიტყვა იწერება უმანოდ: **ბრწყინვალე, ფრინველი,** მაგრამ განა გვმართებს ამ გამონაკლის განზოგადება? მასწავლებელი მოვალეა, განუმარტოს მოწაფეს გრამატიკული ვითარება ორთავ სიტყვისა.

მ-ანის სემიტური ბუნება იმდენად ძლიერია, რომ ქართულ აფხაზურ-სვანურ-მეგრულ-ჭანურის მონათესავე სომხურ ენასაც კი გაჰყოლია, იმ ენას, რომელიც IX საუკუნითგან ქრისტეს უწინარეს არიელ ნადირ ხალხთა შემოსევის მიზეზით მცირე აზიაში დიფერენციაციის გზას დასდგომია. ამის მაგალითებია დღევანდელი სომხური სიტყვები **მარგარე**, წინასწარმეტყველი (ძირისაგან **რქუ**, რაიც ნიშნავს ლაპარაკს), **მკრატ**, მაკრატელი (ძირისაგან **კრეჭ, კრიჭ**) და **მეკ**, ერთი (აფხაზურის **აკ** სიტყვისაგან, რაიც ნიშნავს ერთსა).

პეტრე მირიანაშვილი.

უცხოეთი

ახალგაზდა ოსმალთა განზრახვა.

ჯერ-ჯერობით გამარჯვება სამინისტროს მხარესაა, თუმცა ახალგაზდა ოსმლები იმუქრებიან, რომ ახლო დავიწყებთ კაბინეთის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებასო. მანიფესტის გამოცემის გარდა, აპირებენ პარტიულ კრების მოწვევას, რომლის ადგილსაც საიდუმლოდ ინახავენ. კომიტეტი ხმას ავრცელებს, რომ სტამბოლის ჯარის ნახევარი, აგრედვე ადრიანოპოლისა და დიდი ნაწილი სალონიკის გარნიზონებისა მის მხარესაა.

ნამდვილად არავინ იცის, რამდენად მართალია ეს ხმა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ პარლამენტის სადგომში მივიდა 4 საზღვაო აფიცერი და განაცხადა, რომ მთელი ფლოტი მზადაა დაიცვას კონსტიტუციაო. უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობის გამარჯვება თავის მხარეს გადაიყვანს ჯარის იმ ნაწილსაც, რომელიც აქნამდე ყოყმანში იყო, მით უმეტეს, რომ, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ვიცით, დეპუტატების უმეტესობა თავიანთ სახლებში მიდის და ახალგაზდა ოსმალთა პარტიული კონგრესიც ვერ მოხერხდა, რადგან ყველაზე უფრო მ უვალი მათი სიმაგრე სალონიკი, დღეს საიმედო აღარაა მყუდროების მხრივ.

ოსმალეთი და ბულგარეთი.

რამდენიმე დღის წინად მაკედონიის დაბა კაჩანიკში პროვოკაციული მიზნით ყუმბარა გადააგდეს, რომელმაც რამდენიმე კაცი იმსხვერპლა. ეს ამბავი საკმაო იყო ისედაც გაბრაზებულ ოსმალთათვის, რომ ბრბო მიჰსეოდა ბულგარებს და აეწიოკებინა. უკანასკნელი ცნობით აკლების მსხვერპლთა რაოდენობა ხუთასამდე აღწევს. ამ ამბავმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ბულგარეთში. საგარეო საქმეთა მინისტრმა გეშევმა ფიცხელი ნოტა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას და მოსთხოვა ამწიოკებელთა დაუყოვნებლივ დასჯა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ამით არ კმაყოფილდება და მოითხოვს თავის მთავრობისაგან უფრო ენერგიულ მოქმედებას, თვით დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტამდე, რადგან ოსმალეთის მთავრობისა მას არა სწამს-რა. მაკედონიის ძმობათ აირჩიეს განსაკუთრებული კომიტეტი ოსმალეთის წინააღმდეგ საზოგადოებრივი მოძრაობის მოსაწყობად.

რუსეთი და რომის პაპი.

ხოლმის ცალკე გუბერნიად გამოყოფამ დიდი უკმაყოფილება და მოძრაობა გამოიწვია პოლონეთში, განსაკუთრებით ავსტრიის პოლონეთში. კათოლიკეთა სამღვდელოება მოწოდებას ავრცელებს ხალხში და აქეზებს მას რუსის ეკლესიის წინააღმდეგ. ლვოვის პოლონელმა ეპისკოპოსმა ბანდურსკიმ მოწოდებით მიმართა მორწმუნე პოლონელებს, რათა მათ შემოსავლის მეათედი გადასდვან ხოლმშჩინის დასაცავად. იგი ურჩევს სამწყსოს, რუსეთის ეკლესიას კათოლიკური დაუპირდაპიროს, ხოლო რუსის სკოლას—პოლონური, თუნდა ამისთვის გვირაბებსა და ტყეებში მალვა მოგვიხდესო. ამის გამო რუსეთის მთავრობამ ვატიკანს მემორანდუმი გაუგზავნა, რომელშიც კათოლიკე-სამღვდელობას ბრალად ედება ინტენსიური ქადაგება და ნახევარ მილიონ მართლ-მადიდებელთა ცდუნება, აგრედვე პოლონეთის მებრძოლ ელემენტების გამხნევება და დახმარება. მემორანდუმი ამტკიცებს, რომ სარწმუნოებრივ შეწყნარების კანონი სრულიადაც არ აძლევს კათოლიკის სამღვდელოებას ნებას ცდუნებისათვის. ვატიკანი კი იმ აზრისაა, რომ კათოლიკე-სამღვდელოების ქადაგება სრულიად მართებული და კანონიერიაო. იმდენად მტკიცედ ადგას ამ აზრს ვატიკანი, რომ რუსეთის ელჩი ნელიდოვი ვერას გამხდარა, ამიტომ ამბობენ, რომ შესაძლოა რუსეთსა და პაპს შორის დიპლომატური ურთიერთობა შესწყდესო.

ჩემი პასუხი

(ბ. იოსებ ტატიშვილს).

ბატონო იოსებ! მოსკოვის სტუდენტობაზე მე მქონდა ბაასი რამდენიმე პირთან, მაგრამ ის, რაც თქვენთვის გადმოუციათ არსად, არასოდეს და არავისათვის არ მითქვამს.

მარად თქვენი კეთილის მსურველი

აკაკი ფაღავა.

P. S. თუ ამ პასუხმა ვერ დაგაკმაყოფილათ და თქვენ საჭიროდ დაინახავთ ამის გამო კიდევ შეკითხვა, გთხოვთ დროს ასე ნუ განსაზღვრავთ, რადგანაც ხვალ, მე მოსკოვს მივემგზავრები და იქ როგორც მოგეხსენებათ, არც ისე ადვილია ჩვენი გაზეთების შოვნა, თან 5—6 დღე მარტო გზას უნდება.

ტფილ., 28 ივლ. 1912 წ. **ა. ფ.**

წერილი რედ. მიმართ

უფალო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გადაუხადოთ ეკატერინე სოლომონის ასულს ნათაძისას, რომელმაც კეთილ ინება და შეაგროვა თავის ნაცნობ და ნათესავთ შორის 14 მან. და 45 კაპ. ძეგვის წმ. სამების სასარგებლოდ—შემდეგ პირთაგან: მიხეილ ნათაძემ 3 მან., მიკირტუმოვმა 2 მ., **თითო-თითო მანეთი**—ალექსანდრე ნათაძემ, ვ. სტეფანოვმა და მიხ. კასრაძემ; **ათ-ათი შაური**—ანნა იოს. ჯავახისამ, პელაგია მუსნიცკისამ, მ. შავერდოვმა, გალუმოვმა, არსიემ, მარკოზოვმა, გიგო ნან... გიკო ყაზიევმა და სერგო ტერტეროვმა; **ექვს-ექვსი შაური**—დავით გაგელიძემ და პოლოსოვმა; **ხუთ-ხუთი შაური**—მიხეილ ვარსიმაშვილმა, ბარბ. უთურგარისამ და ნატალია ბეგიევისამ; **თითო-თითო აბაზი**—ვ. გიგოლაშვილმა, ქილაევისამ და სანდრო შიხიანცმა.

ძეგვის წმ. სამების მღვდელი

ნიკოლოზ მამისოვი.

ბ. კონსტან ანდრონი თავს მართლულობს; უდანაშაულო ვარ ქართველ ერის წინაშე „ჯადოსანის“ დაწერით და ბ.ბ. დუტუ-მეგრელი და „სახ. გაზ.“-ის რეცენზენტი ტყუილად მწამებენ მის შეურაცხყოფას და ცილს მწამებენო.

„რით გამოიხატა ჩემი დანაშაული წინაშე ქართველ ერისა?“ კითხულობს იგი და თვითვე გვიპასუხებს: „იმით რომ „ჯადოსანში“ ავწერე თუ როგორ უყვარდა მეწისქვილეს თავისი რძალი და რა სახსარს მიმართა მიზნის მისაღწევად. მინდოდა მეჩვენებინა (ჩირიკოვის დახმარებით) თუ რა მძლავრია ძალა სიყვარულისა და და რას არ ჩაადენინებს იგი ადამიანს. ამისათვის ვიხმარე მასალად ჩირიკოვის პიესა და ჩვენი გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრება. ჩირიკოვის პიესა გამოდგა ჩონჩხად დრამატიულ ფორმისა, ჩვენი გლეხკაცობის ყოფა-ცხოვრება კი ხორცად“-ო და სხვა.

სწორედ ეგ არის თქვენი დანაშაული, რომ მასალად ვითომ „ჩვენი გლეხკაცობის ყოფა - ცხოვრება“-ს ხმარობთ და ეს ყოფა-ცხოვრება კი სრულიად არა გცოდნიათ. არც შინაარსი, არც ენა, არც გარშემო ელფერი (გარდა მომქმედთა სახელებისა და ტანისამოსისა), არც სხვა რამ თქვენის „ჯადოსანისა“ სრულიად არ შეესაბამება საზოგადოდ ქართულსა და კერძოდ ჩვენი გლეხკაცობის ყოფა-ცხოვრებას. ამიტომაც ვამბობდი მე ჩემს წერილში („ქართლი“ № 12): პირდაპირი თარგმანი მაინც რომ იყოს, კიდევ ექნებოდა აზრი „ჯადოსანი“-ს დადგმას, როგორც რუსის ხალხის ცხოვრების დამსურათებელს, გადმოქართულება-კი მისი ყოვლად შეუწყნარებელი რამ არის და მიკვირს, ან ბ. კონსტან ანდრონმა რად ინება ეს, ან ტფილისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ რად მიიღო თავისს მფარველობის ქვეშ და მით უმეტეს ან ბ. გ. იმხნელმა რად ამოირჩია იგი გორისათვის?—მეთქი *).

დუტუ-მეგრელი.

---

*) ამ საგანზე კამათს ვსპობთ.

რედაქცია.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო № 4,** ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო № 6,** ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ. № 3,** დილ. 9 ს. 41 წ. **სახ. № 5,** საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ. № 9/10** ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ. № 77 **,** დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ. № 78/79,** მე-IV და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ. № 109/104 I—III** კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. **№ 1,** საღ. 9 ს. 56 წ. **საფ. № 3,** დილ. 8 ს. 41 წ. **სახ. № 5,** ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ. № 4,** საღ. 11 ს. 15 წ. **სახ. № 6,** ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ... ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ. № 76 **,** ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ. № 7/8,** დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ. № 80/81,** შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ. № 110/111,** ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დილით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახანისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 1 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-თსიპოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი. (თ. 1037.44)

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—1253—89)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ. №

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი —2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნ ვასარდიანი.
(წ. 1078.116)

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანჭარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში

მუხრანის ქ., № 2.
ყოველ ნაირი ფეხსაც. საუკეთ. მასალ., ზომიერ ფასებში.

(25.549.8)

ქირავდება

ორ ოთახიანი სახლი, მაღლობ ადგილას, მზის მხარეს, ყოველივე მოწყობილობით (ავეჯის გარდა), ვანნა, შუშაბანდი, სარდაფი, ტალანი და თავლა, შეიძლება სარგებლობა ტელეფონით (№ 9—25).

1 განზრახული ქუჩა, სათავად-აზნაურო გიმნაზიის პირდაპირ (ვერაზე). იკითხეთ გაქონია. (2.1408.2)

ქირავდება

ნათელი, სუფთა და მშრალი სარდაფი.

ცხინვალის ქუჩა № 13. ჰკითხეთ სახლის პატრონს. ბინა 11.

(4—577—2)

სახელოსნო და საწყობი ძეგლებისა.

ძმ. აგლაძეების.

მიხეილის პროსპ. № 48.

ვღებულობთ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბარატორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწდომ ფასებში.
(0.—522—16)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:
I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა“ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. 85 კ.

ს.-პეტ. პირველი საპოლიტეხნიკო კურსები
Techhikum
ს.-პეტერბურგი, რუჟეინაია, 6. დამატებითი ცნობანი:
1) სენატორის განკარგულებით, რომელიც გამიჯვნის განყოფილებას განაგებს, ამ წლის 27 ივლის. № 3860, სამიწადმზომელო განყოფილების დამსრულებელნი ჩაირიცხებ ან მიწადმომწყ ებ კომისიაში მიწისმზომელთა თანაშემწეებად.
2) ს.-პეტერბურგის სასკოლო გამოფენაზე ს.-პეტერბურგის პირველ საპოლიტეხნიკო კურსები 15 ივლისს დააჯილდოვეს ვერცხლის დიდი მენდლით.
Метцль 104419. (2.1399.2)

მაღაზია
ე. ა. ცატუროვის
დეპოში
მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი,
ახალ სახიანი
რუსეთისა და საზღვარგარეთის
საუკეთესო ქარხნებისა.
ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.
ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
(40—1400—4)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
ყურადღება!
(წ.1131.219)

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.
მივიღეთ აგრედვე ბოჭკის საუკეთესო ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.